RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ირან-აზერბაიჯანის ესკალაცია: რუსეთ-უკრაინის ომის გამოძახილი

რაჰიმ რაჰიმოვი

194

ექსპერტის აზრი

RONDELI FOUNDATION
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

რაჰიმ რაჰიმოვი

ირან-აზერბაიჯანის ესკალაცია: რუსეთ-უკრაინის ომის გამოძახილი

194

2022

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2022 წელი

ISSN 1512-4835
ISBN 978-9941-8-5143-8

2020 წლის 44-დღიან ომში აზერბაიჯანის მიერ სომხეთის დამარცხებისა და კონსერვატიული ებრაჰიმ რაისის ირანის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ის შედარებითი დათბობა, რომელიც აზერბაიჯან-ირანის ურთიერთობებში ირანის ყოფილი პრეზიდენტის ჰასან როჰანის დროს იყო, დასრულდა. ბაქოსა და თეირანს შორის სერიოზული უთანხმოებები თვალსაჩინო გახდა. ამ მხრივ, ირანსა და აზერ-ბაიჯანს შორის დაძაბულობის მორიგი ესკალაცია ოქტომბრის შუა რიცხვებში მოხდა. ეს დაძაბულობა გამოძახილია, ერთი მხრივ, საერთო ისტორიის სადავო, მაგრამ ასევე გადაჯაჭვული ელემენტების თანამედროვე გამოვლინებებისა და, მეორე მხრივ, რუსეთ-უკრაინის ომის ამჟამინდელი შედეგების. ამრიგად, ასეთ ფართო ისტორიულ და საერთაშორისო ფონზე საკითხავია, შესაძლებელია თუ არა ირან-აზერბაიჯანის უთანხმოების მოგვარება.

ესკალაციის თავისებურებები

ესკალაციის უახლესი ტალღა აზერბაიჯანის საზღვართან ირანის სამხედრო აქტივობებს მოჰყვა. ეს აქტივობები იყო თეირანის ძალისხმევის ნაწილი, რომ შეაკავოს „რეგიონის გეოპოლიტიკურ და ისტორიულ საზღვრებში ნებისმიერი სახის ცვლილება და ირანსა და სომხეთს შორის ტრანზიტული სტატუს-კვო შეინარჩუნოს“.[1] უფრო კონკრეტულად, თეირანს სურს შეაჩეროს ბაქოს მოძრაობა ზანგეზურის დერეფნისკენ, რაც გულისხმობს სახმელეთო დერეფნის შექმნას ირანის საზღვრის სომხური მხარის გასწვრივ, რათა დააკავშიროს კონტინენტური აზერბაიჯანი ნახჭევანის ექსკლავთან და უკვე შემდგომ – თურქეთთან. მაგრამ თეირანი პროექტის პერსპექტივებს სხვაგვარად ხედავს და თავისი ინტერესებისთვის საზიანოდ მიიჩნევს.[2] კერძოდ, თეირანი ფიქრობს, რომ ზანგეზურის დერეფანი არღვევს სომხეთსა და ირანს შორის „მეზობლობას“ და ემსახურება თურქულ ერთობას, რაც ინსტიტუციურად გამოიხატა თურქულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის შექმნით.

ესკალაციის ამ ტალღას წინა დაძაბულობას თუ შევადარებთ, ანუ იმას, რაც მოხდა ერთი წლის წინ, 2021 წლის სექტემბერში, ნათლად დავინახავთ, რომ ორმხრივი ურთიერთობების ისტორიული კონტექსტი, თანამედროვე პრობლემები და არსებული განხეთქილების მიზეზები თითქმის მთლიანად უცვლელი რჩება. მაგრამ განსხვავებას წარმოადგენს აზერბაიჯანის შეუპოვარი და გამომწვევი რეაქ-ცია, რომელიც გამოიხატება ოფიციალური პირებისა და მედიასაშუალებების ხისტ რიტორიკაში, განსაკუთრებით ეს ეხება აზერბაიჯანის სახელმწიფო ტელეარხ AzTV-ს. ბაქოში ბაზირებულმა კავკასიის მუსლიმთა ხელისუფლებამ და მისმა ხელმძღვანელმა, აზერბაიჯანის უმაღლესმა რელიგიურმა ლიდერმა ჰაჯი ალაშუკურ ფაშაზადემ საჯაროდ დაგმო ირანის ქმედებები.

ისტორიაში პირველად ირანის საზღვრის გასწვრივ ჩატარებული სამხედრო წვრთნები, ოფიციალური გადაწყვეტილება ისრაელში საელჩოს გახსნის შესახებ და ირანის მრავალმილიონიანი ეთნიკურად აზერბაიჯანელი [თურქი] თემის უფლებების კვლავ ოფიციალურ დისკურსში დაბრუნება წარმოადგენს სამ ძირითად სიახლეს ბაქოს პასუხში თეირანის მიმართ. რაც შეეხება თეირანის მხრიდან სიახლეებს, ეს არის კაპანში, სომხეთში, საკონსულოს გახსნა და საჩვენებელი

წვრთნების ჩატარება მდინარე არასზე გადასასვლელ პონტონის ხიდზე, რომელიც აზერბაიჯანსა და ირანს შორის ბუნებრივი საზღვარია და ისტორიულ კონოტაციებს შეიცავს. მიმდინარე ესკალაციაში ასევე გამორჩეულია საერთაშორისო კონტექსტი და ირანის შიდა ვითარება.

რუსეთ-უკრაინის ომის ზეგავლენა

უფრო ფართო საერთაშორისო კონტექსტი შეიცვალა რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის შედეგად, რადგან ამან ხელი შეუწყო ირან-აზერბაიჯანის ესკალაციას ორი თვალსაზრისით. პირველი, ომმა გამოიწვია ტვირთების გადაზიდვის გადანაცვლება ტრადიციული რუსული მარშრუტიდან აზერბაიჯანის გავლით შუა დერეფნისკენ, რამაც თეირანისთვის გაამწვავა ზანგეზურის დერეფნის მოსალოდნელი შედეგები.

Tehran Times-ში მოყვანილია ირანელი დეპუტატის მოჰამად საფაეის სიტყვები, რომელმაც სამხედრო აქტივობები აღწერა, როგორც „პასუხი ისრაელის გავლენებზე აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და ცენტრალურ აზიაში, ისევე, როგორც ირანის წინააღმდეგ დაგეგმილ გარკვეულ „შეთქმულებაზე“.[3] შემდეგ მან დაამატა, რომ „სიონისტები ცდილობენ შეარყიონ ისლამური რესპუბლიკის გავლენა ცენტრალურ აზიაში“. ეს პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნიუანსი, ანუ ცენტრალური აზიის მნიშვნელობა, რატომღაც მედიის, პოლიტიკური მიმომხილველებისა და ექსპერტთა საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა. ეს ნიუანსი კი მნიშვნელოვანია თეირანის მოტივაციის უფრო ფართო საერთაშორისო კონტექსტის არსისა და მასთან დაკავშირებული თურქული ფაქტორის გასაგებად. მართლაც, ისრაელმა კარგი ურთიერთობა დაამყარა შუა აზიის ქვეყნებთან, როგორიცაა ყაზახეთი და უზბეკეთი. მაგრამ თეირანის მღელვარება, ისრაელის ფაქტორთან ერთად, თუ უფრო მეტად არა, გამოწვეულია ცენტრალური აზიის თურქული ხალხების მზარდი კავშირებით აზერბაიჯანსა და თურქეთთან. შუა დერეფნის მზარდი მნიშვნელობა კი თურქთა ერთიანობის ეკონომიკურ კომპონენტს ქმნის.

აზერბაიჯანის რკინიგზის კომპანიის მონაცემებით, 2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით, ტრანსკასპიური ტვირთების გადაზიდვები, შუა დერეფნის გავლით, 2022 წლის პირველ ათ თვეში 45%-ით გაიზარდა.[4] ეს ზრდა გამოწვეულია ტრანსპორტის ნაკადის რუსეთის მარშრუტის გვერდის ავლით, უკრაინის წინააღმდეგ ომითა და მასთან დაკავშირებული დასავლური სანქციებით.[5] თურქული სახელმწიფოების ორგანიზაცია ზანგეზურის დერეფანს ფართო შუა დერეფნის ნაწილად განიხილავს. ამრიგად, რუსეთ-უკრაინის ომი კიდევ უფრო ამძაფრებს ირანის შეშფოთებას ზანგეზურის დერეფანთან დაკავშირებით. თითოეული მხარის პერსპექტივისა და დისკურსის მიხედვით, ზანგეზურის დერეფანი აღიქმება, როგორც თურქული სამყაროს დამაკავშირებელი ან/და ირან-სომხური მეზობლობის წინააღმდეგ მიმართული დაბრკოლება.[6] ასევე არსებობს ქართული მარშრუტი და მასთან დაკავშირებული ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი, რომელიც შუა დერეფნის ფარგლებში აზერბაიჯანს თურქეთთან აკავშირებს. პრაქტიკულად, ზანგეზურის დერეფანი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აზერბაიჯანსა და მის

ნახჭევანის ექსკლავს შორის პირდაპირი სახმელეთო კავშირის შესაქმნელად. ის ასევე შეიძლება იყოს ქართული მარშრუტის ალტერნატივა, რაც, შესაბამისად, უზრუნველყოფს მარშრუტების დივერსიფიკაციას. პოლიტიკურად ზანგეზურის დერეფანი გადამწყვეტი იქნება სომხურ-აზერბაიჯანული და სომხურ-თურქული ურთიერთობების ნორმალიზაციისთვის. თუმცა, არცერთი მათგანი არ შეესაბამება ირანის ინტერესებს.[7]

ირანის სამხედრო აქტივობები გაიმართა იმ დროს, როცა აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებმა ალიევმა და ერდოღანმა ახლად აშენებული საერთაშორისო აეროპორტი გახსნეს დეოკუპირებული ზანგილანის რაიონში, რომელიც სომხეთ-აზერბაიჯან-ირანის სახელმწიფო საზღვრებთან მდებარეობს. როდესაც ერდოღანი და ალიევი ზანგილანის აეროპორტს ხსნიდნენ, ირანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაჩქარებულად გადაწყვიტეს გაეხსნათ ირანის საკონსულო კაპანის რაიონში, ზანგილანის გვერდით და ზანგეზურის დერეფნის მარშრუტზე. იმდენად ჩქარობდნენ, რომ საკონსულო დაუმთავრებელ შენობაში გაიხსნა. საკონსულოს გახსნისა და სამხედრო აქტივობების ჩატარების მიზანი იყო აზერბაიჯანის გაფრთხილება, თავი შეეკავებინა ზანგეზურის დერეფნისკენ სწრაფვისგან.[8]

მეორე, როგორც ჩანს, რუსეთი ჩაიხლართა უკრაინაში და, შესაბამისად, დასუსტებულია და მოშორებულია სომხურ-აზერბაიჯანულ საკითხს, რაც გარკვეულწილად უბიძგებს თურქეთს, ირანს, საფრანგეთსა და სხვა აქტორებს ეცადონ შეავსონ ის სიცარიელე, რომელიც მოსკოვის გაფანტულობამ გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანმა და თურქეთმა 2022 წლის დეკემბერში აზერბაიჯან-ირანის საზღვრის გასწვრივ დიდი ერთობლივი წვრთნები ჩაატარეს, კოდური სახელწოდებით „ძმის მუშტი“. პრეზიდენტებმა ალიევმა და ერდოღანმა წვრთნებში მონაწილე თავდაცვის მინისტრებს და სამხედრო მოსამსახურეებს მობილური ტელეფონებით მიმართეს და ხაზი გაუსვეს აზერბაიჯან-თურქეთის ერთიანობას საფრთხეების წინაშე. ერთობლივ წვრთნებში მონაწილეობა იყო თურქეთის მნიშვნელოვანი რეაქცია ირან-აზერბაიჯანის ესკალაციაზე. კიდევ ორი მოვლენა, რომელიც მოხდა 2022 წლის დეკემბერში, პირდაპირ არ არის დაკავშირებული ირან-აზერბაიჯანის ესკალაციასთან, მაგრამ ეხმარება კონტექსტის შევსებას: თურქეთის მაღალჩინოსანი გენერალ-პოლკოვნიკი, აზერბაიჯანში თურქული მომსახურების ჯგუფის მეთაური ბახტიარ ერსაი ასევე დაინიშნა აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრის მრჩევლად. ირანის მოსაზღვრე სამი თურქული ერის – აზერბაიჯანის, თურქეთისა და თურქმენეთის – პრეზიდენტებმა თურქმენეთის ქალაქ ავაზაში სამმხრივი სამიტი გამართეს. სამიტზე აღინიშნა ზანგეზურის დერეფნის გამართვის სამუშაოების გაგრძელების მნიშვნელობა.

საფრანგეთის სენატმა მთავრობას ბაქოს წინააღმდეგ სანქციების დაწესების და თვითგამოცხადებული მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის აღიარების რეკომენდაცია მისცა. აზერბაიჯანის პარლამენტმა კი საპასუხოდ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც დაგმო საფრანგეთი. ემანუელ მაკრონის ბრალდებებმა 2020 წლის ომში რუსეთთან სავარაუდო მოკავშირეობისა და სომხეთის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შესახებ აზერბაიჯანის აღშფოთება გამოიწვია. პრეზიდენტმა ალიევმა

გააკრიტიკა ეს ბრალდებები და, აზერბაიჯანული ლინგვისტიკის კონოტაციური შესაძლებლობების გამოყენებით, ისინი „მამლის ყივილს“ შეადარა.[9]

პარიზთან და თეირანთან დაძაბულობის ფონზე ბაქოს პრობლემური პერიოდი ჰქონდა მოსკოვთანაც. კერძოდ, პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საჯაროდ მოუწოდა სომხეთს, არ მიეღო, როგორც ამას თავად უწოდა, „ვაშინგტონის გეგმა“ – ანუ, კრემლის აზრით, ყარაბაღის აზერბაიჯანის ნაწილად აღიარება მომავალ სამშვიდობო ხელშეკრულებაში. ბაქომაც ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა ყველასთვის შეეხსენებინათ, რომ სომხურ-აზერბაიჯანულ-რუსული სამმხრივი დეკლარაციის მიხედვით, რუს სამშვიდობოებს 2025 წლის ნოემბრამდე უნდა დაეტოვებინათ ტერიტორია. აზერბაიჯანის სახელმწიფო სატელევიზიო არხის დირექტორის თქმით, რუსეთი დაგმეს უკრაინაში „საოკუპაციო ომის“ წამოწყებისა და „კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულისთვის“. ამ უპრეცედენტო საქციელმა ფრენსის ფუკუიამას ყურადღება მიიქცია, რომელმაც ტვიტერზე დაწერა: „ეს ნამდვილად რაღაცაა“.[10]

პარიზის, თეირანისა და მოსკოვის სინქრონულობამ აზერბაიჯანში შექმნა შთაბეჭდილება, რომ სამივე მოქმედებდა კოორდინირებულად თუ შეთანხმებულად და არა – სპონტანურად. აზერბაიჯანის ეს შთაბეჭდილება განამტკიცა ევროკავშირის შუამავლობით 7 დეკემბერს სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერების დაგეგმილ შეხვედრაში წინაპირობად სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის მოთხოვნამ, რომ მაკრონს მიეღო მონაწილეობა, რამაც გამოიწვია ამ ღონისძიების გაუქმება და ფაქტობრივად ჩაშალა სამშვიდობო მოლაპარაკებების ბრიუსელის ფორმატი. თეირანი ეწინააღმდეგება ევროპულ ყოფნას რეგიონში, რაც გამოიხატა სომხეთში, აზერბაიჯანთან საერთო საზღვრის გასწვრივ, ევროკავშირის სამოქალაქო მისიის განლაგებით, მიუხედავად ამისა, ის დამნაშავედ ბაქოს ასახელებს და არა – ერევანს.

საშინაო კონტექსტი

ირან-აზერბაიჯანის ესკალაციის საშინაო კონტექსტი მოიცვა ქვეყნის მასშტაბით გამართულმა პროტესტებმა, გამოწვეულმა ახალგაზრდა ირანელი ქალის – მასა ამინის სიკვდილით, რომელმაც პროტესტი გამოუცხადა სავალდებულო ისლამური ჩაცმულობის კოდექსს.[11] პროტესტთან დაკავშირებული დაძაბულობა საგრძნობია ირანელ აზერბაიჯანელებს შორის.[12] თუმცა, ირანის აზერბაიჯანულ პროვინციებში დაძაბულობას აშკარა ეთნიკური ელფერი არ მიუღია.

თეირანთან ესკალაციის ფონზე პრეზიდენტმა ალიევმა ორჯერ წამოაყენა ირანის ეთნიკური აზერბაიჯანელების (თურქების) საკითხი თურქულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის დღის წესრიგში. ყოველ ჯერზე ის ხაზს უსვამდა, რომ თურქული სამყარო ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე თურქული სახელმწიფოების გეოგრაფიული საზღვრები.[13] ალიევმა ორგანიზაციის სამარყანდის სამიტზე განაცხადა, რომ „სამწუხაროდ, 40 მილიონი აზერბაიჯანელის უმრავლესობა, რომელიც ცხოვრობს აზერბაიჯანის საზღვრებს გარეთ, მოკლებულია ამ შესაძლებლობებს [სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლას]“.[14] ამ აზერბაიჯანელების უმეტესობა ცხოვრობს

ირანში და ისინი, სპარსელების შემდეგ, უდიდეს ეთნიკურ ჯგუფად ითვლებიან. თუმცა, არსებობს სხვა თურქულენოვანი მოსახლეობაც, განსაკუთრებით – თურქმენები. მან პირობა დადო, რომ გააგრძელებს „ძალისხმევას, რათა ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც მწარე ბედისწერით აზერბაიჯანის სახელმწიფოს გამოეყვნენ, ერთგულები დარჩნენ აზერბაიჯანიზმის იდეებისა“. ეს იდეები ასახავს ყოველი აზერბაიჯანელის სამშობლოსთან მიკუთვნების გრძნობას სახლში და მის ფარგლებს გარეთ რასის, რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, ენისა თუ სხვა თავისებურებების მიუხედავად, ის ეფუძნება მულტიკულტურალიზმის პოლიტიკასა და სახელმწიფოს სეკულარულობის პრინციპს.

პრეზიდენტის მესიჯები თეირანში გაიგონეს. ირანის უზენაესი ლიდერის, ალი ხამენეის მთავარმა მრჩეველმა საგარეო საქმეთა საკითხებში ალი აკბარ ველაიათიმ საპასუხოდ დაწერა სტატია. ამ საკითხში ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს აზერბაიჯანელთა თურქულ იდენტობას, ცდილობს წარმოაჩინოს შიიტური იდენტობის უპირატესობა ეთნიკურთან შედარებით და პარალელურად უტევს [ოსმალ] თურქებს „აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის განზრახვისთვის“ (1918-20). უფრო მეტიც, ველაიათი ისევე, როგორც სხვა ირანელი მოღვაწეები და მედიასაშუალებები ხშირად მოიხსენიებენ აზერბაიჯანის რესპუბლიკას სახელით – „მდინარე არასის ჩრდილოეთით“, ხოლო აზერბაიჯანელებს – „აზერებად“. მან გამოიყენა ორაზროვანი ფრაზა თავისი არგუმენტების შესაჯამებლად: „ყოველი აზერბაიჯანელი ირანელია და ყველა ირანელი აზერია, მიუხედავად იმისა, რომ ეს აზერი ან ირანელი ირანის ფარგლებს გარეთაა ან აქვს განსხვავებული პასპორტი“.[15] გარდა ისტორიული კონოტაციებისა და სადავო საკითხებისა, ველაიათის არგუ-მენტები ასევე გამოწვეულია ირანში მიმდინარე პროტესტით და მასთან დაკავ-შირებული შიშით, რომ პროტესტმა შესაძლოა ეთნიკური ხასიათი მიიღოს აზერბაიჯანით დასახლებულ ქალაქებსა და პროვინციებში.

საპროტესტო გამოსვლებმა, რომლებიც ძირითადად ახალგაზრდების მუხტით მიმდინარეობს,[16] მათ შორის, გოგონებისა და ახალგაზრდა ქალებისა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან დაწესებულ ცხოვრების წესს, ირანის მოწყვლადობა გამოავლინა.[17] თეირანი, მოსკოვის კვალად, ომს უკრაინაში ახასიათებს, როგორც დასავლურ-რუსულ დაპირისპირებას და არა – რუსულ-უკრაინულს, რადგან არ სურს დასავლური კულტურისა და ლიბერალური ღირებულებების რეგიონთან მიახლოება. თეირანი ასევე ადანაშაულებს ბაქოს ისრაელისა და დასავლეთის მოკავშირეობაში. რა თქმა უნდა, მეზობელი აზერბაიჯანი არ არის დასავლური ლიბერალური დემოკრატია. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის მულტიკულტურული საზოგადოება, ევროპული ცხოვრების წესით, რელიგიის თავისუფლებითა და სახელმწიფოს სეკულარულობით, შეიძლება ბევრისთვის მიმზიდველ მოდელად ჩაითვალოს ირანში. ეს უფრო თვალსაჩინო ხდება, როდესაც მას ემატება ეთნოეროვნული და კულტურულ-ენობრივი სენტიმენტები და ირანელი აზერბაიჯანელების ნათესავ ერთან მიკუთვნების განცდა, შესაბამისად, ეს ყველაფერი თეირანის ღელვის საფუძველი ხდება.[18] მაშასადამე, ველაიათის მოსაზრებები ამ ღელვის სიმპტომია მაშინ, როცა პრეზიდენტმა ალიევმა კიდევ ერთხელ, და ერთმნიშვნელოვნად, გაიმეორა, რომ აზერბაიჯანი გააგრძელებს დაიცვას ირანელი აზერბაიჯანელების

უფლება, ისწავლონ მშობლიურ ენაზე და „ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დაიცვას... აზერბაიჯანისა და აზერბაიჯანელების სეკულარული განვითარება, მათ შორის, იმ აზერბაიჯანელების, რომლებიც ცხოვრობენ ირანში“.[19]

მნიშვნელოვანია გაგრძელდება თუ არა ბაქოს პირობა, რომ მხარს დაუჭერს მრავალმილიონიანი ირანელი აზერბაიჯანელის უფლებებს – თუ კი, მაშინ აზრობრივად თუ რეალურად დიდი მნიშვნელობა ექნება ირან-აზერბაიჯანის დარღვეული სტატუს-კვოს ხელახლა ჩამოყალიბებაში. მიუხედავად ამისა, ახალი სტატუს-კვო, როდესაც ის გაჩნდება ან თუკი გაჩნდება, ვერ გადაჭრის ირან-აზერბაიჯანის ფუნდამენტურ უთანხმოებებს. აზერბაიჯანელმა ინტელექტუალმა და ირანის მკვლევარმა აჰმედ ბეი აღაოღლუმ (1869-1939) 100 წლის წინ დაასკვნა, რომ ორ ერს შორის რთული ურთიერთობა ჩამოყალიბდა ირანში სხვადასხვა თურქული (აზერბაიჯანული) დინასტიის ათასწლიანი პოლიტიკური მმართველობის შედეგად და ამავე დროს, სპარსული ენისა და შიიზმის ერთობლივი დომინაციის წყალობით, რომელიც მორალურ სივრცეში ფორმალურად შემოიტანა აზერბაიჯანის მმართველმა შაჰ ისმაილმა.[20] ირანის ისლამური რესპუბლიკისთვის რელიგიური [შიიტური] იდენტობა აღემატება ეთნიკურ [განსაკუთრებით თურქულ] იდენტობას, ხოლო აზერბაიჯანის საერო რესპუბლიკისთვის შიიზმი არის რელიგიური რწმენა და არა – პოლიტიკური იდეოლოგია. ასეთი დიქოტომია და მასთან დაკავშირებული უფრო ფართო შედეგები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა, საფუძვლად უდევს ორმხრივ უნდობლობასა და შიშს ირანსა და აზერბაიჯანს შორის.

ამ ღრმა ისტორიული თვალსაზრისით, ძველი დარღვეული სტატუს-კვო, რომელიც პრეზიდენტ ჰასან როჰანისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ჯავად ზარიფის ტანდემის წლებში არსებობდა, ხასიათდებოდა იმით, რომ აზერბაიჯანი თავს არიდებდა სამხრეთ აზერბაიჯანის საკითხის პროპაგანდას და ირანში მცხოვრები აზერბაიჯანელი პოლიტიკური აქტივისტების შეფარებას, რომლებიც მხარს უჭერდნენ სამხრეთ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას ან ირანისგან გამოყოფას და, შესაბამისად, იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ აზერბაიჯანი, ხოლო თეირანი, თავის მხრივ, თავს იკავებდა აზერბაიჯანში დაკავშირებული რელიგიური [შიიტური] ჯგუფების ღიად წაქეზებისგან. მაგრამ დაძაბულობის მატებასთან ერთად ბევრი ირანელი აზერბაიჯანელი პოლიტიკური ემიგრანტი დაბრუნდა და კვლავ გამოჩნდა აზერბაიჯანის ტელეარხებზე, მედიასა და საჯარო ღონისძიებებზე, სადაც კვლავ დაიწყეს ირანის მთავრობის მოქმედებების კრიტიკა.

გარდა ამისა, ძველი სტატუს-კვოს შესაბამისად, აზერბაიჯანი არ მისდევდა ირანის აზერბაიჯანული თემის მიმართ რაიმე სახის ფორმალური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. ძირითადად, ბაქო ცდილობდა ამ საკითხში ნეიტრალურობის შენარჩუნებას, რათა არ მოეხდინა თეირანის პროვოცირება. არ არსებობდა სპეციალიზებული ტელეარხები, არც საუნივერსიტეტო-სასტიპენდიო პროგრამები, შექმნილი საგანგებოდ ირანელი აზერბაიჯანელებისთვის, არც რაიმე გეგმა ან ძალისხმევა იქ რბილი ძალის ჩამოყალიბებისთვის და ა.შ. ამ კონტექსტში, საჭიროების შემთხვევაშიც კი, ბაქოსთვის რთული იქნებოდა ირანის აზერბაიჯანელ მოსახლეობაზე გავლენის მოხდენა. თუმცა, ბაქოს შეუძლია ფსონი დადოს ირანელი აზერბაიჯანელების ისტორიულ და ეთნიკურ-კულტურულ და

ენობრივ კავშირზე აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან, როგორც ნათესაურ ერთან, და ასევე პოლიტიკურად ემიგრირებულ ირანელ აზერბაიჯანელებზე. მართლაც, ასეთი კავშირები და კუთვნილების გრძნობა გამოავლინეს ირანელმა აზერბაიჯანელებმა 2020 წლის სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომის[21] დროს; ირანში კი დააპატიმრეს ის ირანელი აზერბაიჯანელები, რომლებიც მხარს უჭერდნენ აზერბაიჯანის რეს-პუბლიკას და აპროტესტებდნენ თეირანის სომხეთთან კავშირს. საინტერესოა, რომ თეირანთან დაძაბულობის ფონზე ასევე დააკავეს ირანელი აზერბაიჯანელები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს აზერბაიჯანს, მაგალითად, ეთნიკურად ირანელი აზერბაიჯანელი (თურქი)კომიკოსი, რომელმაც სოციალურ მედიაში გამოაქვეყნა ფრაზა – „აქ არის აზერბაიჯანი“.

სოციალურ მედიაში მხარდაჭერის გამოხატვა სულაც არ ნიშნავს რეალური დახმარების აღმოჩენას, თუმცა ჯერ კიდევ გასარკვევია მხარდაჭერის გამოხატვა და მასთან დაკავშირებული ინციდენტები ეპიზოდურია თუ მასობრივი ხასიათისა. ირანელ აზერბაიჯანელებში ბაქოს მიმართ მხარდაჭერის შესაძლებლობის დონის გაზომვა ნამდვილად შეზღუდულია, თუ საერთოდ არსებობს. ამას მოწმობს ისიც, რომ ირანს არასოდეს გაუმხელია ქვეყნის ეთნიკური დემოგრაფიის მაჩვენებლები და ეთნიკური აზერბაიჯანელების (თურქების) მიახლოებითი რიცხვი, რომ აღარაფერი ვთქვათ ზუსტ ციფრზე, მხოლოდ ამა თუ იმ ადამიანების ვარაუდებია. კონსერვატიული შეფასებით, ირანელი აზერბაიჯანელების რაოდენობა, სულ მცირე, ორჯერ აღემატება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ათმილიონიან მოსახლეობას.

დასკვნა

2020 წლის ომის შემდეგ განვითარებული მოვლენები და რეალობა ასახავს აზერბაიჯანსა და ირანს შორის სტატუს-კვოს მოშლას. ბოლო ესკალაციამ კი, თავისი გამოვლინებებით, შინაარსითა და შედეგებით, დაჩრდილა ორმხრივ ურთიერთობებში ახალი სტატუს-კვოს გამოჩენა. აღსანიშნავია, რომ ახალი სტატუს-კვოს ჩამოყალიბების პროცესი გართულდება და დრო დასჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ზანგეზურის დერეფნის საკითხი ამ პროცესში ცენტრალურია, სომხეთისა და რუსეთის პოზიციები, და არა ირანის, იქნება ის, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს ამ პროექტის შედეგს. შესაბამისად, შედეგი ასევე დამოკიდებული იქნება მთელ რიგ ფაქტორებზე, მათ შორის, უკრაინის ომის მიმდინარეობაზე, აზერბაიჯან-რუსეთის ურთიერთობების ტრაექტორიასა და ამ საკითხზე დასავლეთის პოზიციაზე.

უკრაინის ომმა, მისმა შედეგებმა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა არათუ გამოიწვია, არამედ მხოლოდ გაამძაფრა დაპირისპირების მასშტაბები და ბაქოსა და თეირანს შორის არსებული უთანხმოებები. მართლაც, ირან-აზერბაიჯანის დაპირისპირების ბუნება ფუნდამენტური და სისტემურია და რაღაც დასაბამს საუკუნეების წინ იღებს. აქედან გამომდინარე, მაშინაც კი, თუკი ისეთი აქტუალური დავები, როგორიცაა ზანგეზურის დერეფანი, მოგვარდება, ორმხრივ ურთიერთობაში არსებული უთანხმოება შენარჩუნდება ახალი სტატუს-კვოს პირობებში. არც ბაქოს და არც თეირანს არ შეუძლიათ მოაგვარონ ეს უთანხმოება დამოუკიდებლად უახლოეს მომავალში და

არ არსებობს არანაირი ნიშანი იმისა, რომ მათ შეძლონ გაერთიანება ამ გამოწვევის გადასაჭრელად. ყოველივე ეს კი მოასწავებს, რომ გაჩნდება დაძაბულობის ახალი ტალღები.

შენიშვნები

1. *Iran Daily*. "IRGC Ground Force kicks off large-scale military drill in NW Iran." October 17, 2022. https://irandaily.ir/News/324684.html (Accessed on 25.11.2022)

2. Rahim Rahimov. "Zangezur Discourse: Implications for war and peace between Armenia and Azerbaijan." *Georgian Foundation for Strategic and International Studies*. September, 2021. https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/167-expert-opinion-eng.pdf (Accessed on 28.11.2022)

3. *Tehran Times*. "IRGC drills in northwest Iran a response to Israel: MP." October 22, 2022. https://www.tehrantimes.com/news/477878/IRGC-drills-in-northwest-Iran-a-response-to-Israel-MP (Accessed on 24.11.2022)

4. *Report News Agency*. "ADY Container: Cargo transportation with containers on Middle Corridor increased by 45%." November 18, 2022. https://report.az/en/infrastructure/ady-container-cargo-transportation-with-containers-on-middle-corridor-increased-by-45/ (Accessed on 24.11.2022)

5. *Trend News Agency*. "The Middle Corridor – the rising role in the context of geopolitical changes." July 8, 2022. https://en.trend.az/azerbaijan/politics/3619054.html (Accessed on 24.11.2022)

6. *ILNA*. "Zangezur corridor is against Iran's interest's Expert." October 10, 2022. https://www.ilna.ir/Section-politics-3/1283221-zangezur-corridor-is-against-iran-interests-expert (Accessed on 26.11.2022)

7. Rahim Rahimov. "Iran's Drive for a Railway Connection to the Black Sea: Technical Obstacles and Geostrategic Implications". *Strategic Assessment - A Multidisciplinary Journal on National Security*. Volume 24. No.3. July 3, 2021. https://strategicassessment.inss.org.il/en/articles/rahimov_iran_railway/ (Accessed on 26.11.2022)

8. *Iran International*. "Iran opens consulate in Armenian region desired by Baku, Ankara." October 10,2022.https://www.iranintl.com/en/202210211383 (Accessed on 25.11.2022)

9. "Ilham Aliyev attended an event organized on the occasion of Victory Day in Shusha". November 8, 2022. https://president.az/en/articles/view/57801 (Accessed on 25.11.2022)

10. Francis Fukuyama. Twitter. October 25, 2022. https://twitter.com/FukuyamaFrancis/status/1584763987170058240 (Accessed on November 27, 2022)

11. *Tasnim News Agency*. November, 2022. www.tasnimnews.com/fa/news/1401/08/20/2802533/چرای-لفاظی-های-اخیر-علی-اف-علیه-ایران (Accessed on 26.11.2022)

12. Alirza Quluncu. "Student death fuels protests among Iran's Azerbaijani Turks." *Voice of America*. November 21, 2022. https://www.voanews.com/a/student-death-fuels-protests-among-iran-s-azerbaijani-turks/6844330.html (Accessed on 26.11.2022)

13. "Ilham Aliyev received Secretary General of Organization of Turkic States". October 21, 2022. https://president.az/en/articles/view/57657 (Accessed on 25.11.2022)

14. “Ilham Aliyev. Speech at the 9th Summit of Organization of Turkic States in Samarkand, Uzbekistan”. November11,2022. https://president.az/en/articles/view/57816 (Accessed on 25.11.2022)

15. Ali Akbar Velayati. Article. November 20, 2022. www.tasnimnews.com/fa/news/1401/08/29/2806107/مستسی-کی-مه-نم-اجیاب-آذری-وهمج-و-نیاری-بین-اخیر-لئاسم-هراب-دیتیال-و-تشادادای (Accessed on 24.11.2022)

16. Maysam Bizaer. “Iran’s rising Generation Z at the forefront of protests”. *Middle East Institute*. October 5, 2022.https://www.mei.edu/publications/irans-rising-generation-z-forefront-protests (Accessed on 26.11.2022)

17. *The Iran Primer.* “Explainer: “Iran’s Gen Z protests.” October 26, 2022. http://iranprimer.usip.org/blog/2022/oct/26/explainer-iran%E2%80%99s-gen-z-protests (Accessed on 26.11.2022)

18. Vahid Qarabagli. “The protests in Iran and Azerbaijani Turk civil rights activists.” *The Caspian Post*. October 6, 2022. https://caspianpost.com/en/post/perspectives/the-protests-in-iran-and-azerbaijani-turk-civil-rights-activists (Accessed on 26.11.2022)

19. “İlham Əliyev Bakıda keçirilən “Orta Dəhliz boyunca: geopolitika, təhlükəsizlik və iqtisadiyyat” mövzusunda beynəlxalq konfransda iştirak edib”. November 25, 2022. https://president.az/az/articles/view/57968 (Accessed on 26.11.2022)

20. Ahmed Agaoglu. İran ve İnkilabı [Iran and Revolution]. *Zebamat Basınevi*. Ankara. 1941.

21. Rahim Rahimov. “Israel Delivers Aid to Azerbaijan: Background and Implications.” *Eurasia Daily Monitor, Volume 17, Issue 159*. November 10, 2020. https://jamestown.org/program/israel-delivers-aid-to-azerbaijan-background-and-implications/ (Accessed on December 15, 2022)